ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 15 ნოემბერი, 1942 წ. № 271 (6587). ფასი 15 კაპ.

ელექტროსადგურების მუშაობა—პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში

ომის დაწყებიდან დიდი ცვლილებები მოხდა მრეწველობის განლაგებაში. ასობით ქარხნებისა და ფაბრიკების ბაზა გადატანილ იქნა ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში — ურალში, ციმბირში. აქ საწარმოებმა აითვისეს თავიანთი საწარმოო სიმძლავრენი და აძლიერებენ მუშაობის ტემპებს. თვიდან თვემდე იზრდება თვითმფრინავების, ტანკების, ქვემეხების, ნაღმსატყორცნების, ტყვიამფრქვევების, შაშხანებისა და საომარი მასალების წარმოება.

მრეწველობის შემდგომი განვითარება დაჟინებით მოითხოვს ელექტროენერგიის გამომუშავების გადიდებას. მრეწველობის მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე დაკმაყოფილებულ უნდა იქნას. ჩვენ შეგვიძლია ამას მივაღწიოთ ახლა მოქმედი ელექტროსადგურების სიმძლავრეთა სრული გამოყენებით, ახალ სიმძლავრეთა ამუშავებით და ელექტროენერგიის ხარჯვაში უსასტიკესი ეკონომიის რეჟიმის დაცვით.

ყველა მოქმედი ელექტროსადგური ზუსტად და შეუფერხებლად, სრული სიმძლავრით უნდა მუშაობდეს. ამჟამად, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. ბევრი ელექტროსადგური არ იძლევა იმ სიმძლავრეს, რომლისთვისაც ისინი ნავარაუდევი არიან. რატომ ხდება ეს? სიმძლავრეთა ნაწილს ვერ იყენებენ ან არამთლიანად იყენებენ მოწყობილობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის გამო. ელექტროსადგურთა ძირითად მოწყობილობას თავის დროზე არ უკეთებენ კაპიტალურ და გეგმიან-გამაფრთხილებელ რემონტს. ეს ავარიებს იწვევს. ელექტროსადგურებში და განსაკუთრებით ელექტროქსელებში ავარიების მცირე რაოდენობა როდი ხდება აგრეთვე ტექნიკური პერსონალის თავგასულობისა და ტექნიკური ექსპლოატაციის წესების დაუცველობის გამო.

ასეთი მდგომარეობის მოთმენა აღარ შეიძლება! უსასტიკესი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ავარიებს სადგურებსა და ქსელში, დოყლაპიობასა და უპასუხისმგებლობას, ელექტროსადგურთა მოწყობილობისადმი დანაშაულებრივ, უყურადღებო დამოკიდებულებას. ელექტროსადგურები და ელექტროქსელები ჩვეულებრივი საწარმოები როდია: მათს წესიერ და შეუფერხებელ მუშაობაზე დამოკიდებულია მრეწველობის ყველა საწარმოს მუშაობა.

სიმძლავრეთა დიდ რეზერვს ვერ იყენებენ ანტისახელმწიფოებრივი პრაქტიკის გამო, საქმისადმი უწყებრივი დამოკიდებულების გამო. ზოგიერთი საწარმო, თუმცა მათ საკუთარი ენერგეტიკული დანადგარები აქვთ, ამჯობინებს საერთო ქსელიდან მიიღოს ელექტროენერგია. ამ საწარმოთა ხელმძღვანელები, სარგებლობენ რა სახალხო კომისარიატებისა და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების წაყრუებით, ამჯობინებენ მზამზარეულზე იცხოვრონ. ასე უფრო დამშვიდებულნი არიან, საზრუნავი ნაკლები აქვთ!

არის ქარხნები, სადაც ელექტროსიმძლავრენი მნიშვნელოვნად აღემატებიან მათს საკუთარ მოთხოვნილებას. როგორც წესი, ისინი ნაჭარბ ელექტროენერგიას მეტად უხალისოდ აძლევენ საერთო ქსელს. მაგალითად, ურალის ვაგონების ქარხანა, ურალის მანქანათმშენებელი ქარხანა და ნოვი ტაგილის მეტალურგიული ქარხანა ყოველდღიურად აკლებენ საერთო ქსელს 25 ათასიდან 40 ათასამდე კილოვატ-საათს. ეს დიდი ელექტროსადგურის სიმძლავრეა. და ეს ხდება ურალში, სადაც მთელი რიგი ქარხნები ელექტროენერგიის დიდ საჭიროებას განიცდიან!

უდარდელ ხელმძღვანელებს, მზამზარეულზე ცხოვრების მოყვარულებს და უწყებრივ მუშაკებს ზოგჯერ პარტიული ორგანიზაციებიც უწყობენ ხელს. ასე, საქ. კ. პ. (ბ) ივანოვოს საოლქო კომიტეტმა თავის დროზე მისცა აშკარად საზიანო მითითება საფეიქრო მრეწველობის მეორე და მესამე მთავარ სამმართველოთა უფროსებს — გაეჩერებინათ ფაბრიკებში არსებული, ადგილობრივი სათბობით მომუშავე თბოძალოვანი დანადგარები და გადასულიყვნენ ფაბრიკების „ივენერგოს" სისტემისაგან ელექტრომომარაგებაზე. ასეთი მითითების შედეგად ოლქის 13 ფაბრიკაში არ იყენებენ სიმძლავრეებს: ტურბინებისას—4.775 კილოვატს და ორთქლის მანქანებისას—10.875 ცხენძალას.

საკ. კ. პ. (ბ) ივანოვოს საოლქო კომიტეტს მიუთითეს არასწორ მოქმედებაზე. 28 ოქტომბერს პარტიის საოლქო კომიტეტის ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება აემუშავებინა ეს ძალოვანი დანადგარები და წინადადება მისცა „ივენერგოს" მმართველს ამხ. კულევს — შეემცირებინა მისაწოდებელი ელექტროენერგიის ლიმიტები ფაბრიკებისათვის საკუთარი ძალოვანი დანადგარების გამოუყენებელ სიმძლავრეთა რაოდენობით—ამ დანადგართა ამუშავების დღიდან.

რა უნდა გაეკეთებინათ? უმოკლეს ხანში უნდა აემუშავებინათ ეს დანადგარები. მაგრამ რა გამოვიდა? საკ. კ. პ. (ბ) ივანოვოს საოლქო კომიტეტის ბიურომ გამოსძებნა დასაბუთებანი თავისი გადაწყვეტილების გადასასინჯავად და 3 ნოემბერს გააუქმა დადგენილების ის პუნქტი, სადაც ლაპარაკია იმ საწარმოებისათვის ელექტროენერგიის მიწოდების შემცირების შესახებ, რომლებსაც გამოუყენებელი აქვთ თავისი თბოძალოვანი დანადგარები. ადგილობრივი უწყებრივი მუშაკები შეიძლება კმაყოფილნი იყვნენ საკ. კ. პ. (ბ) ივანოვოს საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილებით, სახელმწიფოებრივ ინტერესებს კი ამით ზიანი ადგება.

— უმნიშვნელოვანესი საკითხია ახალ სიმძლავრეთა ამუშავება. მთავრობის გადაწყვეტილებით მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში სამჯერ მეტი ახალი ელექტროსიმძლავრე იქნება ამუშავებული, ვიდრე ომის ერთი წლის განმავლობაში. პასუხისმგებლობა მშენებლობის ვადების შესრულებისა და ხარისხისათვის, მოწყობილობის მონტაჟისა და ახალ ელექტროსიმძლავრეთა ამუშავებისათვის, სათანადო სახალხო კომისარიატებთან ერთად, ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებსაც ეკისრებათ.

დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს ელექტროენერგიის ხარჯვაში უსასტიკესი ეკონომიის რეჟიმის დაცვას. მოწინავე ელექტროსადგურებმა და სამრეწველო საწარმოებმა ეს შეიგნეს და მათ დადებითი შედეგები აქვთ. ქ. მოსკოვსა და მოსკოვის ოლქში მოიზოგეს სისტემასა და საწარმოებში 1.496.000 კილოვატ-საათი სექტემბერში, 2.251.000 კილოვატ-საათი ოქტომბერში.

ელექტროენერგიის მნიშვნელოვანი ეკონომიის მიღწევა შეიძლება ისეთ ენერგოტევად წარმოებებში, როგორიც არის ალუმინის, მაგნიუმის მრეწველობა, ფეროშენადნობთა ქარხნები, ელექტროსამჭედლო საამქროები. მეტად დამახასიათებელია ფეროშენადნობთა ნ ქარხნის გამოცდილება. ქარხანა ელექტროენერგიის ერთ-ერთი უდიდესი მომხმარებელია ურალში. ელექტროენერგიის მოხმარების შემცირებისათვის და ამავე დროს პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის ბრძოლის გზით ქარხანამ მოიზოგა აგვისტოში 1,9 მილიონი კილოვატ - საათი, სექტემბერში—3,5 მილიონი კილოვატ-საათი.

დადებით მაგალითებთან ერთად არის უარყოფითი მაგალითებიც, — სამწუხაროდ, უარყოფითი მაგალითები უფრო მეტიცაა. ზოგიერთი საწარმო, სარგებლობს რა უპირატესი მდგომარეობით, შეჩვია შეუზღუდავად ხარჯოს ელექტროენერგია და არ ზრუნავს მის მომჭირნეობით ხარჯვაზე. ამასთან, საწარმოთა ხელმძღვანელები საკმაოდ გულახდილნი არიან. ისინი ამბობენ: „რამდენიც უნდა ვხარჯოთ, ჩვენს საწარმოებს არ გააჩერებენ, ჩვენ სულერთია მოგვცემენ".

ასეთ ანტისახელმწიფოებრივ პრაქტიკას გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო. ელექტროენერგიის გამნიავებლებს, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა საწარმოებში იმყოფებიან ისინი, წესრიგისაკენ უნდა მოვუწოდოთ. რაც უფრო მეტ უპირატესობებს აძლევს სახელმწიფო საწარმოს, მით უფრო გონივრულად უნდა გამოიყენოს მან ეს უპირატესობანი, ვინაიდან შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ ეს ხდება სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი და საჭირო საწარმოების ხარჯზე, რომლებიც აგრეთვე ფრონტისათვის მუშაობენ.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ძირიან-ფესვიანად უნდა გადასინჯონ თავიანთი დამოკიდებულება ელექტროსადგურებისადმი. დღემდე პარტიის საოლქო კომიტეტები და საქალაქო კომიტეტები ძალიან ცუდად, შემთხვევიდან შემთხვევამდე მუშაობდნენ ელექტროსადგურებისათვის. ისინი ძალიან ხშირად კმაყოფილდებოდნენ ელექტროენერგიის განაწილებით, ხოლო ელექტროსადგურთა მუშაობის ძირითად საკითხებს უყურადღებოდ სტოვებდნენ.

მხოლოდ ელექტროსადგურების მუშაობისათვის პასუხისმგებლობის გრძნობის დაკარგვით შეიძლება აიხსნას ის მდგომარეობა, რომელსაც ადგილი აქვს სვერდლოვსკის, ჩელიაბინსკისა და მოლოტოვის ოლქებში, სადაც ელექტროსადგურებში არ არის ჯეროვანი წესრიგი, მათი ექსპლოატაცია მიმდინარეობს ტექნიკური წესების ყოვლად უხეში დარღვევებით.

ელექტროსადგურის ტექნიკური ექსპლოატაციის წესები რკინის კანონია. ეს წესები არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას დარღვეული.

პარტიული ორგანიზაციები ვალდებულნი არიან შეუსუსტებელი კონტროლი გაუწიონ ელექტროსადგურთა მუშაობას. ელექტროსადგურთა მუშაობა ყველგან პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა იზრუნონ ელექტროსადგურების ზამთრისათვის მომზადებაზე, მათი სათბობით უზრუნველყოფაზე, სარემონტო ბაზების მოწყობაზე და ელექტრომოწყობილობის დროულად რემონტზე, უნდა მიაღწიონ შრომის დისციპლინის განმტკიცებას, პარტიული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებას ელექტროსადგურებში.

ელექტროსადგურთა ნორმალური მუშაობის უზრუნველსაყოფად ცხოვრებაში ტარდება მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი. ელექტროსადგურებისათვის გამოყოფილია საჭირო მოწყობილობა და მასალები. მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია ელექტროსადგურების მუშაკთა მატერიალური პირობები. ჩაღდება მუშაობა ელექტროსადგურთა პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად და ახალი კადრების მოსამზადებლად.

დიდი მნიშვნელობა უნდა ექნეს პარტიის მთელ რიგ საოლქო კომიტეტებში ელექტროსადგურთა დარგში მდივნის თანამდებობის შემოღებას. პარტიის საოლქო კომიტეტების ელექტროსადგურთა განყოფილებანი, რომლებსაც ისინი მეთაურობენ, ღრმად უნდა ჩასწვდნენ ელექტროსადგურების მუშაობას, კონტროლი უნდა გაუწიონ მათს საქმიანობას და წარმართონ იგი.

ელექტროსადგურებს განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპყრას ოლქის, რესპუბლიკის ყველა ორგანიზაცია. საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტები და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები ვალდებულნი არიან შეუსუსტებელი კონტროლი დააწესონ მოქმედ ელექტროსადგურთა მუშაობასა, ენერგეტიკული მოწყობილობის აღდგენასა და ახალ სიმძლავრეთა ამუშავებაზე. დავამყაროთ ელექტროსადგურებში წესრიგი და დისციპლინა, მოვაწყოთ ოპერატიული დახმარება ელექტროსადგურებისადმი მათ წინაშე დასმული ამოცანების განხორციელებაში და ყველა გარემოებაში უზრუნველვყოთ მათ მიერ სახალხო მეურნეობას ელექტროენერგიით მომარაგების გეგმების შესრულება, — აი რა არის საჭირო ამჟამად.

უფრო მაღლა ავწიოთ ელექტროენერგიის წარმოების დონე!

ელექტროსადგურთა ზუსტი, შეუფერხებელი მუშაობა ჩვენი მრეწველობის შემდგომი აღმავლობის საფუძველია.

სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯვაში უსასტიკესი ეკონომიის რეჟიმის დაცვა ომიანობის დროის ურყევი კანონია.

„პრავდის" მოწინავე, 12/XI.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

14 ნოემბრის დილის ცნობა

13 ნოემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან **სტალინგრადის** რაიონში, **ტუაფსეს** ჩრდილო-აღმოსავლეთით და **ნალჩიკის** სამხრეთ-აღმოსავლეთით. სხვა ფრონტებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

სტალინგრადის რაიონში მოწინააღმდეგემ ორ პოლკზე მეტი ქვეითი ჯარის ძალით არაერთხელ მოიტანა იერიში ჩვენს პოზიციებზე ქალაქის საქარხნო ნაწილში. ჩვენმა ჯარებმა მტრის იერიშები მოიგერიეს და ეწეოდნენ ბრძოლებს იმისათვის, რომ აღადგინონ მდგომარეობა იმ უბანზე, სადაც გერმანელებმა წინადღეს მოახერხეს უმნიშვნელოდ წინ წამოწევა. გუშინდელი დღის განმავლობაში ჩვენმა მებრძოლებმა მოსპეს 900-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 8 ტანკი, 24 ავტომანქანა, 8 ქვემეხი, 19 ნაღმსატყორცნი, 18 ტყვიამფრქვევი, დაანგრიეს მტრის 5 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი.

* * *

ნალჩიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ აქტიურ საბრძოლო მოქმედებას და მტრის რამდენიმე პოზიცია დაიკავეს. 6 სატანკო ქვეგანაყოფმა მოსპო 6 ტანკი, 2 ქვემეხი და გაჟლიტა 150 ჰიტლერელი. მებრძოლებმა ამხ. სალამატინმა, ლარინმა, კუდრიაშოვმა და ტერენტიევმა ორი დღის განმავლობაში დააზიანეს და დასწვეს მტრის 2 ტანკი და 15 ავტომანქანა. სნაიპერმა ამხ. გორბუნმა ამავე ხნის განმავლობაში 15 ჰიტლერელი უხოცა. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 8 თვითმფრინავი და დაზიანებულია 3.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო - დასავლეთით 6 ნაწილის არტილერისტების ცეცხლით თავდასხმით დამტვრეული და დამწვარია მტრის 11 ავტომანქანა, გაფანტულია და ნაწილობრივ მოსპობილია ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი. ჩვენი მზვერავები ღამით შეიჭრნენ გერმანელების მიერ დაკავებულ დასახლებულ პუნქტში, გაჟლიტეს 30-მდე ჰიტლერელი, ცეცხლი წაუკიდეს საწვავის საწყობს და უდანაკარგოდ დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.

* * *

ტუაფსეს ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენმა ნაწილებმა ერთ უბანზე რამდენადმე წინ წაიწიეს და მტრის ერთი ასეული ქვეითი ჯარი გაანადგურეს. წამოღებულია დავლა და შტაბის დოკუმენტები. გერმანელთა მე-13 სამთო-მსროლელი პოლკის პირველი ბატალიონის ტყვეებმა განაცხადეს, რომ მათი ბატალიონი თითქმის სავსებით მოსპობილია. ამ ბატალიონის პირველ ასეულში სულ ორი კაციღა დარჩა.

* * *

კალინინის ფრონტზე სროლა სწარმოებდა ორივე მხრივ და მზვერავები მოქმედებდნენ. ჩვენმა მზვერავმა ჯგუფებმა ააფეთქეს გერმანელთა 2 ძელმიწური საცეცხლე წერტი, დასწვეს ავტომანქანა, ტანკი და მოსპეს 39 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ნ ნაწილის სნაიპერებმა დღის განმავლობაში 75 გერმანელი გაჟლიტეს.

ჩვენმა მფრინავებმა და მეზენიტეებმა ორი დღის განმავლობაში მტრის 8 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

* * *

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის ერთ უბანზე რვა მებრძოლი ლეიტენანტ ნილოვის მეთაურობით მტრის ზურგში შეიჭრა. მზვერავებმა გამოარკვიეს, თუ სად იყო განლაგებული მტრის საცეცხლე წერტები და რადიოთი შეატყობინეს ეს არტილერისტებს. ჩვენი არტილერიის ცეცხლით მოსპობილია გერმანელთა მძიმე ნაღმსატყორცნების ბატარია და მათი მომსახურე პერსონალი.

* * *

ნოემბრის დამდეგს ორიოლის ოლქში მოქმედი სამი პარტიზანული რაზმი ერთობლივი ძალებით თავს დაესხა გერმანელთა გარნიზონს ერთ დასახლებულ პუნქტში. პარტიზანებმა მოსპეს მტრის ჯავშანმანქანა, 2 ზარბაზანი და 5 დაზგის ტყვიამფრქვევი. ბრძოლაში გაჟლეტილია 78 ჰიტლერელი. ორიოლელ პარტიზანთა ჯგუფმა ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა 2 სარკინიგზო ეშელონი. დამსხვრეულია 3 ვაგონი და 28 პლატფორმა ტვირთიანად. ვაგონების ნამსხვრევებში 40 გერმანელი ჯარისკაცი დაიღუპა.

* * *

იუგოსლაველმა პარტიზანებმა ქალაქი ბიხაჩი დაიკავეს და განაგრძობენ აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ოკუპანტების წინააღმდეგ. პარტიზანებმა, რომელნიც მტერს სდევნიან, ათობით დასახლებული პუნქტი დაიკავეს, ტყვედ წამოყვანილია მტრის 850 ჯარისკაცი და 20 ოფიცერი. პარტიზანებმა ხელთ იგდეს აგრეთვე 900 შაშხანა და ბევრი დაზგისა და ხელის ტყვიამფრქვევი.

14 ნოემბრის საღამოს ცნობა

14 ნოემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან **სტალინგრადის რაიონში, ტუაფსეს** ჩრდილო-აღმოსავლეთით და **ნალჩიკის** სამხრეთ-აღმოსავლეთით. სხვა ფრონტებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

13 ნოემბრის განმავლობაში ჩვენმა ავიაციამ ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპო გერმანელთა 10 ტანკი, 40-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩააქრო 3 საარტილერიო ბატარიის ცეცხლი. გაფანტულია და ნაწილობრივ მოსპობილია მტრის ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

სტალინგრადის რაიონში გააფთრებული ბრძოლები სწარმოებდა. ქალაქის საქარხნო ნაწილში მტერს განუწყვეტლივ მოაქვს იერიშები ჩვენს პოზიციებზე. ამ უბანზე მესამე დღე-ღამეა განუწყვეტლივ გრძელდება ბრძოლები, რაც ხშირად ხელჩართულ შეტაკებებად გადაიქცევა ხოლმე. ქალაქის დამცველები თავგანწირულად იგერიებენ ჰიტლერელთა ყველა იერიშს. მხოლოდ ერთ ქუჩაზე მოახერხა მოწინააღმდეგემ შეევიწროვებინა ჩვენი ქვეგანაყოფები. სამი დღის ბრძოლების დროს ჩვენმა მებრძოლებმა მოსპეს 17 ტანკი, 14 ქვემეხი, 36 ნაღმსატყორცნი და რამდენიმე ათასი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ამავე ხნის განმავლობაში ფრონტის ხაზზე ჩამოგდებულია გერმანელთა 13 თვითმფრინავი.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ნაწილები თავიანთ პოზიციებს ამაგრებდნენ, ეწეოდნენ დაზვერვას და საარტილერიო სროლას მტერთან. დილაადრიანად ჩვენი ქვეითი ჯარის საბრძოლო წყობილებათა თავზე გამოჩნდა გერმანელთა 8 ბომბდამშენი. უმცროს ლეიტენანტ რუმიანცევის ქვემეხის გუნდმა სროლა ასტეხა და გერმანელთა სამი თვითმფრინავი ჩამოაგდო.

ჩვენი მფრინავები თავს დაესხნენ მტრის განლაგებას. მცირე სიმაღლიდან დაბომბვით გამოწვეულ იქნა ხანძრის 8 კერა და 2 ძლიერი აფეთქება. ყველა საბჭოთა თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა.

* * *

ნალჩიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ეწეოდნენ და მტრის რამდენიმე პოზიცია დაიკავეს. მტერი წინააღმდეგობას გვიწევს და კონტრიერიშებით ცდილობს შეაჩეროს ჩვენი ნაწილების წინსვლა. ერთ უბანზე ნ ნაწილის მებრძოლებმა დაიკავეს მდინარის ხიდი, რომელსაც დიდი ტაქტიკური მნიშვნელობა აქვს. სხვა უბანზე მტრის ტანკებმა და მეავტომატეებმა იერიში მოიტანეს ჩვენს პოზიციებზე. სასტიკი ბრძოლის შემდეგ, რომლის დროსაც დაზიანებულ იქნა გერმანელთა 8 ტანკი, 2 ავტომანქანა და გაჟლეტილ იქნა მტრის 150 მეავტომატე, მტერმა საწყის ზღუდეებზე დაიხია.

* * *

ტუაფსეს ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენი ნაწილები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ჯარების იერიშებს, რომლებსაც ახალი მაშველი ძალები მოუვიდათ. დღის განმავლობაში დაზიანებული და დამწვარია გერმანელთა 11 ტანკი, 17 ავტომანქანა ქვეით ჯარიანად და საომარ მასალიანად. არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლით გაფანტულია და ნაწილობრივ გაჟლეტილია მტრის ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

უკრაინელ პარტიზანთა რაზმმა ნოემბრის დასაწყისში საფრებიდან მოსპო გერმანელთა 5 ავტომანქანა, 11 მოტოციკლი და 117 გერმანელი ფაშისტი დამპყრობი. პარტიზანებმა ხელთ იგდეს 6 ტყვიამფრქვევი, 3 ნაღმსატყორცნი, 30 შაშხანა, 8 რევოლვერი, 148 ნაღმი და 2.000 ვაზნა. გომელის ოლქში მოქმედი სამი პარტიზანული რაზმის გაერთიანებული ძალებით ლიანდაგიდან გადაგდებულია მოწინააღმდეგის ორი სარკინიგზო ეშელონი და დაზიანებულია ჯავშნიანი მატარებელი.

* * *

ჩამოგდებული გერმანული ბომბდამშენის მსროლელმა-რადისტმა, ტყვე ობერ-ფელდფებელმა ბენო შოლცმა განაცხადა: „სექტემბრის დამლევს დავამთავრე საფრენოსნო სკოლა ნეიშტადტში, ხოლო 2 ოქტომბერს ფრონტზე გამოვემგზავრე. გზაში, მინსკსა და სმოლენსკს შორის, პარტიზანებმა სროლა აუტეხეს ჩვენს მატარებელს. ვაგონში, რომლითაც მე მოვდიოდი, მოკლა 9 მფრინავი. 18 ოქტომბერს პირველი საბრძოლო გაფრენა მოვახდინე. საბჭოთა საზენიტო არტილერიამ სროლა ამიტეხა და დააზიანა ჩემი თვითმფრინავი. მე პარაშუტით გადმოვხტი, ძირს დავეშვი და ტყვედ დავნებდი".

* * *

გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა გაძარცვეს და მთლად გადასწვეს ლენინგრადის ოლქის სოფლები ალექსინო და შუშელოვო. სოფელ ალექსინოში ფაშისტმა ჯალათებმა ჩამოახრჩეს მასწავლებელი ქალი და 4 კოლმეურნე ქალი. ჰიტლერელებმა დააპატიმრეს და საკონცენტრაციო ბანაკში დაამწყვდიეს ამ სოფლების 50-ზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები. ყველა დანარჩენი გლეხი გერმანელებმა მცველების თანხლებით იძულებითს სამუშაოებზე გარეკეს.

* * *

ეგვიპტეში იტალია-გერმანიის ჯარების დამარცხებამ უმძიმესი შთაბეჭდილება მოახდინა იტალიაში. იტალიაში შესამჩნევად გაცხოველდა არალეგალური ანტიფაშისტური ორგანიზაციებისა და ჯგუფების მოქმედება, რომლებიც მოითხოვენ ჰიტლერულ გერმანიასთან კავშირის გაწყვეტას და იტალიის გამოსვლას ომიდან. მილანსა, ნეაპოლსა და სხვა ქალაქებში ჟანდარმერიამ მრავალი ჯარისკაცი და უნტერ-ოფიცერი დააპატიმრა. დაპატიმრებულთ ბორკილები გაუყარეს და ასინარის კუნძულზე არსებულ საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნეს.

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს

ძვირფასო ბელადო! მოსკოვის ებრაელთა საზოგადოების გამგეობის სახელით და მორწმუნე ებრაელთა სახელით ჩვენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავის დღეს თორის გრაგნილებით აღვავლინეთ მხურვალე ლოცვა უზენაესისადმი, რათა თქვენ, საყვარელო ბელადო, ღვთის რჩეულო და დიდი 200-მილიონიანი ხალხის ნება-სურვილის გამომხატველო, შემდეგშიც მოგანიჭოთ უსაზღვრო სიბრძნე და ძალა ჩვენი ძვირფასი სამშობლოს და მთელი თავისუფლებისმოყვარე კაცობრიობის საზიზღარი მტრის—კაციჭამია ჰიტლერის უსწრაფესი და სრული მოსპობისათვის.

ჩვენ, მორწმუნე ებრაელები, ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ღმერთი ამ გამარჯვებას მიანიჭებს ჩვენს გმირ წითელ არმიას, რომელიც გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ მიდის დიადი უშუალო, ბრძნული ხელმძღვანელობით და დიდი ოქტომბრის სახელოვანი დროშით და რომ უზენაესის მიერ ფაშისტთა ურდოებისათვის გამზადებულია საძრახი და სამარცხვინო დაღუპვა ყველა ფარაონებისა, ამალეკიტელებისა და ამანებისა, რომლებმაც გაბედეს ბინძური ხელებით დაერღვიათ კაცობრიობის მშვიდობიანობა და ბედნიერება.

მოსკოვის ებრაელთა საზოგადოების
თავმჯდომარე **ჩობრუცკი.**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოში

საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარიატის მთავარი სამმართველოს გარდაცვლილ მთავარ ინჟინერ ა. დ. შიცის ოჯახის უზრუნველყოფის შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ **დაადგინა:**

1. მიეცეს ერთდროული დახმარება ალექსანდრე დავითის-ძე შიცის ოჯახს—ცოლს ვერა დიმიტრის-ასულ ვასილკევიჩს 15 ათასი მანეთი.

2. დაუწესდეს პერსონალური პენსია ა. დ. შიცის ოჯახს: ცოლს ვერა დიმიტრის-ასულ ვასილკევიჩს—400 მანეთი თვიურად მთელ სიცოცხლეში; შვილს ლეონიდე შიცს—300 მანეთი თვიურად სრულწლოვანობამდე; ქალიშვილს ნატალია შიცს—300 მანეთი თვიურად სრულწლოვანობამდე.

3. ა. დ. შიცის დაკრძალვა მიღებულ იქნას სახელმწიფოს ხარჯზე.

საბჭოთა სტუდენტების ანტიფაშისტური მიტინგი

15 ნოემბერს, 14 საათზე, მოსკოვში შესდგება საბჭოთა სტუდენტების ანტიფაშისტური მიტინგი. მიტინგი ტრანსლირებული იქნება რადიოთი.

(საკდესი).

დიდი სტალინის მოხსენების პასუხად საწარმოები ყოველდღიურად აძლიერებენ ფრონტისადმი დახმარებას

დიდი ბელადის მოხსენების პასუხად

სტალინის სახელობის თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკამ ნოემბრის პირველი დეკადის საწარმოო გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა. მიმდინარე წლის არც ერთ თვეში ფაბრიკის კოლექტივს ისე დიდი წარმატებით არ უმუშავნია, როგორც ახლა, ნოემბერში მუშაობს. გარდა საწარმოო დავალების გადაჭარბებით შესრულებისა, მნიშვნელოვნად დაზოგეს საპირე და საძირე ტყავი და დამხმარე მასალები. საწარმოო გეგმის შესრულებაში მკვეთრი გარდატეხა შესამჩნევი გახდა დიდი სტალინის 1942 წლის 6 ნოემბრის ისტორიული მოხსენების შინაარსთან გაცნობის შემდეგ.

ფაბრიკის საამქროები და მოწინავე მუშები ბელადის მოხსენების პასუხად აღებულ ახალ საწარმოო ვალდებულებებს პირნათლად და გადაჭარბებით ასრულებენ. სტახანოველი გამომჭრელი ამხ. ს. მარქაროვი, რომელმაც გეგმის 130 პროცენტით შესრულება იკისრა, სინამდვილეში უკანასკნელი 6 დღის განმავლობაში გეგმას 140-145 პროცენტით ასრულებს. 5 დღეში მან მოიმომჭირნა 600 დეციმეტრი ტყავეული.

ნაკისრ ვალდებულებას დიდი გადაჭარბებით ასრულებს სტახანოველი ხარატი ამხ. მ. მეძმარიაშვილი. ნაცვლად 300 პროცენტისა, იგი ყოველდღიურ დავალებას 400-420 პროცენტით ასრულებს. მანვე იკისრა, რომ უზრუნველჰყოფდა საფაბრიკო მოწყობილობის შეუფერხებელ მუშაობას. უკანასკნელ 6 დღეში ამხ. მეძმარიაშვილმა ეს ვალდებულებაც წარმატებით გაანაღდა.

დიდი წარმატებით მუშაობს ფაბრიკის სპეციალური საამქრო (საამქროს უფროსი ამხ. გ. ბაბლუმოვი). ნოემბრის პირველი დეკადის გეგმა საამქრომ 5 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულა.

საწარმოო აღმავლობასთან ერთად შესამჩნევად გაძლიერდა მომჭირნეობის რეჟიმისათვის ბრძოლა. ძირითადი და დამხმარე მასალების მომჭირნეობით ხარჯვაში ბელადის მოხსენების შემდეგ თავი ისახელეს ამხ. ს. მარქაროვმა, ნ. ნერსესიანმა, ს. ხურცილავამ, ა. ხალათიანმა და სხვ. დიდი სტალინის მოხსენებამ ყველგან ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია.

დ. ამირანიძე

იძლევიან მეტსა და მაღალხარისხოვან პროდუქციას

— გეგმის გადამეტებით მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებით მზარდი დახმარება გავუწიოთ ჩვენს სახელოვან წითელ არმიას ვერაგი მტრის დაჩქარებით განადგურებაში— ამ ლოზუნგის ნიშნით მუშაობს ყოველდღიურად თბილისის სპილენძსატკეცი ქარხნის მთელი კოლექტივი. ქარხანაში კიდევ უფრო გააძლიერეს მუშაობის ტემპები ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენების შემდეგ. დიდი ბელადის მოხსენებას აქ კონკრეტული საქმეებით უპასუხებენ.

ფრონტული თავდადებით მუშაობს მდნობელთა ბრიგადა, რომელმაც ნოემბრის პირველ დეკადაში ორი ბრიგადის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. ეს ბრიგადა გ. მჭედლიშვილის (ხელმძღვანელი), დ. კიკნაძისა და შ. ქევხიშვილის შემადგენლობით 5 ნოემბრამდე ყოველდღიურ ნორმას 250 პროცენტით ასრულებდა, ბელადის მოხსენების შემდეგ ნორმის შესრულების პროცენტი 280-მდე ავიდა. ბრიგადა, რომელიც უწუნოდ მუშაობს და მაღალხარისხოვან პროდუქციას უშვებს, იძლევა ლითონის ეკონომიას 4.7 პროცენტით, სათბობისას—16 პროცენტით და ელექტროენერგიისას—33 პროცენტით.

მტკეცავთა პირველი (უფროსი მ. ანთიძე) და მეორე ბრიგადა (უფროსი ბ. ახობაძე) შეწყობილად მუშაობენ. მნიშვნელოვანი რაოდენობით ზოგავენ სათბობსა და ელექტროენერგიას. ამ დღეებში ერთი ახალი, რთული სპეციალური დაკვეთა წარმატებით აითვისეს. ნოემბრის პირველ დღეებში პროდუქციის დამზადებისას ბრიგადები წუნს 0,3 პროცენტის რაოდენობით უშვებდნენ, დიდი სტალინის მოხსენების პასუხად მათ წუნი მთლიანად აღმოფხვრეს და ეს სპეციალური დაკვეთა ვადაზე ადრე—13 ნოემბრისათვის შეასრულეს. ამ ბრიგადებში საუკეთესო სტახანოვლებად ითვლებიან შ. ბერიაშვილი, ნ. შომახია, ი. ჯაფარიძე, ლ. დოლიძე, ა. კირდიაშკიანი და სხვ., რომლებმაც ბელადის მოხსენების პასუხად კიდევ უფრო გაზარდეს შრომის ნაყოფიერება.

მდნობელი და სატკეცი ბრიგადების ენერგიული მუშაობის შედეგად საკავშირო სოცშეჯიბრებაში ჩაბმულმა სპილენძსატკეცმა ქარხანამ ნოემბრის პირველი დეკადის საწარმოო დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულა.

ვ. ზურაბიშვილი

მასალებსა და ელექტროენერგიას მომჭირნეობით ხარჯავენ

ჭიათურა („კომუნისტის" საკ. კორ.). ჭიათურის მარგანტრესტის კაგანოვიჩის სახელობის მაღაროში სერიოზულ ყურადღებას აქცევენ ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებას, მომჭირნეობისათვის ბრძოლას. ამ დღეებში განხორციელდა ინჟ. ა. გვენცელაძის წინადადება, რომელიც საგრძნობლად ამცირებს ელექტროენერგიის ხარჯს. წინათ ტრანსფორმატორი განუწყვეტლივ დატვირთული იყო და 24 საათის განმავლობაში 1.920 კილოვატსაათ ელექტროენერგიას ხარჯავდა, ახლა კი ტრანსფორმატორი მოქმედებაშია 8 საათს და იხარჯება მხოლოდ 640 კილოვატსაათი ენერგია. ამით ყოველთვიურად დაახლოებით 38.400 კილოვატსაათი ელექტროენერგია იზოგება. მაღაროში მუშაობისას განათებისათვის გამოყენებულია კარბიდის სპეციალური ფარნები. ამით იზოგება ელექტროენერგია, ელნათურები, სადენი და ელგაყვანილობისათვის საჭირო სხვა მასალები.

ამხ. ბ. ბოჭორიშვილის წინადადებით მთლიანად გამოყენებულ იქნა ძველი ესტოკადის მასალა, ხოლო ამხ. ვ. ლილუაშვილის წინადადებით მაღაროდან გამოღებულ იქნა დიდძალი ზედმეტი ბიგა.

დიდი ბელადის—ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენების და ბრძანების პასუხად ჭიათურის მარგანტრესტის კაგანოვიჩის სახელობის მაღაროს კოლექტივმა უფრო ენერგიულად მოჰკიდა ხელი შინარესურსების გამოყენებას და მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ გატარებას.

ვ. ჭიოკაძე

კოლმეურნეები ეხმარებიან მაღაროელებს

ტყიბული („კომუნისტის" კორ.). რაიონის კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს დაეხმარონ ტყიბულის მაღაროელებს ზამთრისათვის ბიგებით მომარაგებაში. ამ დღეებში ერთსულოვანი აღფრთოვანებით კვირაობაზე გამოყვანილ იქნა ორპირის სასოფლო საბჭოში შემავალ კოლმეურნეობათა 132 უღელი ხარი და ხარისთვალიდან ჩამოტანილ იქნა 1.013 ცალი ბიგი.

კვირაობაში მონაწილეობას იღებდნენ ხრესილის სასოფლო საბჭოში შემავალი კოლმეურნეობები, რომლებმაც 966 ცალი ბიგი ჩამოიტანეს, აგრეთვე ახალსოფლის, საწირის, მუხურის და კურსების სასოფლო საბჭოების კოლმეურნეობები. აღსანიშნავია კვირაობაზე ახალსოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა ორგანიზებული გამოსვლა. ამ კოლმეურნეობიდან კვირაობაში მონაწილეობას იღებდა 52 უღელი ხარი და თითოეულმა მათგანმა 14 ცალი ბიგი ჩამოიტანა.

კვირაობაზე მამაცური შრომით თავი ისახელეს ა. და ბ. რიჟამაძეებმა, ფ. პატარიძემ, ი. ცირეკიძემ და სხვ. აღსანიშნავია აგრეთვე გელათელი კოლმეურნის ალექსი ბაკურაძის ენერგიული მუშაობა მაღაროების ბიგებით მომარაგებაში. ა. ბაკურაძეს 85 წელი შეუსრულდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი ახალგაზრდული ენერგიით მუშაობს.

დ. საბელაშვილი

კოლმეურნეები თავდადებით შრომობენ

დიდი ბელადის—ამხანაგ სტალინის 1942 წლის 6 ნოემბრის მოხსენებისა და 7 ნოემბრის ბრძანების პასუხად აჭარის სსრ კოლმეურნეობებში ახალი ძალით გაჩაღდა მუშაობა. ხულოს რაიონის უჩამბის სასოფლო საბჭოს სოფ. წაბლნარის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა დროულად და უდანაკარგოდ აიღეს სიმინდის, კარტოფილისა და თივის მოსავალი. წაბლნარელმა კოლმეურნეებმა სახელმწიფოსათვის კარტოფილის ჩაბარების წლიური გეგმა ვადამდე შეასრულეს. წარმატებით იქნა შესრულებული აგრეთვე სახელმწიფოსათვის ხილის ჩაბარების გეგმა. მთავრდება თამბაქოს შეტკვა და ანემვა. რ. ბერიძის და თ. აბუსერიძის ბრიგადებმა ეს სამუშაო უკვე დაამთავრეს.

ფრონტისადმი დახმარების შემდგომი გაძლიერებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში მრავალმა კოლმეურნემ გამოიჩინა თავი. მაგალითად, ამხ. მ. თურმანიძეს და დ. და შ. ბერიძეებს თითოეულს წელს უკვე გამომუშავებული აქვს 300 შრომადღე. ისინი ნორმებს ორმაგად და სამმაგად ასრულებენ.

ასეთივე წარმატებით მუშაობენ ქობულეთის რაიონშიც. სოფ. ქვედა ულიანოვკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში უკვე დაიწყო მანდარინის შერჩევითი კრეფა და პირველ დღეს 500 კილოგრამი ნაყოფი მოიკრიფა. კრეფის წესებს კარგად იცავენ და გეგმებს გადამეტებით ასრულებენ მკრეფავები ხ. გორდელაძე, ო. სოფიანიდი. თ. ბერიძე და სხვ.

ქსენია ბალათურია

გეგმის შესრულება

ჩხარის რაიონმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავზე შეასრულა სახელმწიფოსათვის ყურძნის დამზადება-ჩაბარების გეგმა. ნაცვლად 2.200 ტონისა დამზადებულია 2.212 ტონა ყურძენი. ყურძნის დამზადება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ჩხარის რაიკომის მდივანი **ბაქრაძე**
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ისაკაძე**

ნალჩიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით

მოქმედი არმია, 14 ნოემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ნალჩიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ნაწილები აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ეწეოდნენ. მტერი, დიდი ზარალის მიუხედავად, შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევს და ცალკეულ უბნებზე კონტრიერიშები მოაქვს. საბჭოთა მებრძოლნი წარმატებით სძლევენ გერმანელთა წინააღმდეგობას და განაგრძობენ მათთვის დიდი ზარალის მიყენებას.

ერთი მაღლობის რაიონში ჰიტლერელები შეეცადნენ გაეუმჯობესებინათ თავიანთი პოზიციები და კონტრიერიში მოიტანეს. ბრძოლაში ჩაბმულ იქნენ მეავტომატეები და ტანკები. იმ ქვეგანაყოფის წითელარმიელებმა რომელსაც ამხ. ჩორნი მეთაურობს, მოიგერიეს მოწინააღმდეგის იერიში და ზარალი მიაყენეს მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. სხვა უბანზე ჩვენმა ტანკებმა გაარღვიეს მტრის თავდაცვა. გერმანელებმა, მდგომარეობა რომ აღედგინათ, კონტრიერიშზე გამოიყვანეს ერთ ასეულამდე მეავტომატე და 10-ზე მეტი ტანკი. მტრის მანქანებს ჯავშანსამტვრეველთა მარჯვე ცეცხლი შეხვდა. სასტიკ ბრძოლაში დაზიანებული და მოსპობილია ფაშისტთა 8 ტანკი.

გაბედულად მოქმედებენ წითელარმიელები და მეთაურები. ზემდეგი ამბუშინოვი, რომელსაც ტანკსაწინააღმდეგო გრანატი ჰქონდა ხელთ, სვლის დროს შეახტა გერმანელთა მანქანას, ლუკი გაალო და გრანატი შეაგდო შიგნით. ტანკი აფეთქდა, მანქანის ეკიპაჟი დაიღუპა. მემიზნეებმა კოზლოვმა და ტიხომიროვმა ზუსტი სროლით მოსპეს მტრის ორი ქვემეხი, ორი ტყვიამფრქვევი და გაჟლიტეს ერთ ოცეულამდე ჰიტლერელი.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, საბჭოთა ნაწილებმა განდევნეს გერმანელები ორი დასახლებული პუნქტიდან. მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოუვიდა. ჩვენმა არტილერისტებმა, ნაღმსატყორცნელებმა, ჯავშანსამტვრეველებმა და ტანკისტებმა დააზიანეს და დასწვეს გერმანელთა მრავალი ტანკი, ჯავშნიანი მანქანა და სატვირთო მანქანა. გარდა ამისა, არტილერიის ცეცხლით და ავიაციის მიერ დაბომბვით მოსპობილია მტრის 12 ქვემეხი, აფეთქებულია საწყობი საომარ მასალიანად და ჩაქრობილია რამდენიმე ბატარიის ცეცხლი. საბჭოთა მებრძოლებმა ხელთ იგდეს მნიშვნელოვანი დავლა.

ჰიტლერელმა არამზადებმა დასახლებული პუნქტების დატოვებისას 276 გლეხის კარ-მიდამო გადასწვეს. ასობით მშვიდობიანი მცხოვრები უსახლკაროდ დარჩა.

გ. ოშაროვსკი

ბელორუსიის, უკრაინის, კარელია-ფინეთისა და ლატვიის სს რესპუბლიკების, რუსეთის სფს რესპუბლიკის ლენინგრადის, ორიოლისა და კურსკის ოლქების იმ პარტიზანთა დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ზურგში გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ პარტიზანულ ბრძოლაში

გულადობისა და მამაცობისათვის, რაც გამოიჩინეს ზურგში გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ პარტიზანულ ბრძოლაში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით ბელორუსიის, უკრაინის, კარელია-ფინეთისა და ლატვიის სს რესპუბლიკებს, რუსეთის სფს რესპუბლიკის ლენინგრადის, ორიოლისა და კურსკის ოლქებს პარტიზანთა ჯგუფი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 55 კაცი.

წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 184 კაცი.

სამამულო ომის 1-ლი ხარისხის ორდენით დაჯილდოებულია 8 კაცი.

სამამულო ომის მე-2 ხარისხის ორდენით—11 კაცი.

წითელი ვარსკვლავის ორდენით—333 კაცი.

„საპატიო ნიშნის" ორდენით—3 კაცი.

მედლით „მამაცობისათვის"—181 კაცი.

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის" — 116 კაცი. (საკდესი).

ურღვევია ფრონტისა და ზურგის ერთიანობა

დეპეშაში ნ ნაწილის მებრძოლთა და მეთაურთა სახელით ამხ. **იოსკევიჩი** იუწყება: „ჩვენმა მებრძოლებმა და მეთაურებმა მიიღეს საქართველოს მშრომელთა საჩუქრები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავისათვის.

ჩვენს წითელარმიულ და მეთაურულ მადლობას ვუძღვნით საქართველოს სსრ ყველა მშრომელთ.

ჩვენმა მეთაურებმა და რიგითმა მებრძოლებმა გახსნეს გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა მოსპობის ანგარიში და პირობას იძლევიან იბრძოლონ მტკიცედ, მამაცურად მანამდე, სანამ ყველა ფაშისტ არამზადები მოსპობილი არ იქნებიან".

თემატიკა

მოხსენებისა, ლექციებისა და საუბრებისა ამხანაგ სტალინის მოხსენებაზე „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავი", თავდაცვის სახალხო კომისრის 1942 წლის 7 ნოემბრის ბრძანებაზე № 345 და ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხის შესახებ ამერიკელ კორესპონდენტ ბ-ნ კესიდის კითხვებზე

1. საომარი მოქმედება საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე განვლილი წლის განმავლობაში.
2. ორგანიზატორული მუშაობა ჩვენს ზურგში განვლილი წლის განმავლობაში.
3. წითელი არმიისა და საბჭოთა ხალხის ამოცანები გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ომში.
4. საყოველთაო-სახალხო პარტიზანული მოძრაობა მტრის განადგურების ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა.
5. მოსკოვის, ტულის, ოდესის, სევასტოპოლის, ლენინგრადის, სტალინგრადის გმირული დაცვა თავდადებული სიმამაცის, რკინისებური დისციპლინის, გამძლეობისა და გამარჯვების უნარის ნიმუშია.
6. სსრ კავშირის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების საბრძოლო კავშირი ჰიტლერული გერმანიისა და ევროპაში მისი მოკავშირეების წინააღმდეგ.
7. ჰიტლერული „ახალი წესრიგი" ევროპაში—ხალხთა საპყრობილეა.
8. საკითხი მეორე ფრონტისა ევროპაში.

ღრმად შევისწავლოთ დიდი სტალინის ისტორიული მოხსენება და ბრძანება

ბელადის მოხსენების ღრმად შესწავლისათვის

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის რაიკომმა გაშალა მუშაობა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტისა და თავდაცვის სახალხო კომისრის—ამხანაგ სტალინის მოხსენებისა და ბრძანების რაიონის მშრომელებში ახსნა-განმარტებისა და ღრმად შესწავლისათვის.

რაიონში არსებული მიმდინარე პოლიტიკისა და „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შემსწავლელი ყველა წრის მორიგი მეცადინეობა ამხანაგ სტალინის მოხსენებისა და ბრძანების შესწავლას მიეძღვნება. ამას გარდა, ჩამოყალიბდება წრეები ბელადის მოხსენების ღრმად შესასწავლად.

სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში იმის გარდა, რომ მიმდინარე პოლიტიკის წრეებში შეისწავლიან ამხანაგ სტალინის მოხსენებასა და ბრძანებას, პარტბიუროს დადგენილებით სტუდენტებისა და პედაგოგ-ლექტორებისათვის მოეწყობა ლექციების ციკლი. ამხანაგ სტალინის მოხსენების თითოეული თავის მიხედვით უკვე შედგენილია თემები. სულ 20 ლექცია ჩატარდება. ლექციების ჩატარება დავალებული აქვთ ისეთ კვალიფიციურ ლექტორებს, როგორიც არიან აკად. ხაჭაპურიძე, პროფ. ათაბეგოვი და სხვ. უნივერსიტეტში მოეწყო აგრეთვე აგიტსემინარი, სადაც აგიტატორებს განემარტათ, თუ როგორ უნდა მოაწყონ ბელადის მოხსენებისა და ბრძანების მასებისათვის საფუძვლიანი გაცნობა. აგიტატორები ბელადის მოხსენებას სამ საუბარს მიუძღვნიან, ხოლო ბრძანებას—ერთს. ისინი უკვე შეუდგნენ მუშაობას. პარტბიუროს დადგენილებით მიმდინარე პოლიტიკის წრეებში ბელადის მოხსენების შესწავლა 10 დეკემბრისათვის დამთავრდება, ხოლო ლექციების ციკლი—სასწავლო წლის პირველ სემესტრში.

აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის ბიურომ ბელადის მოხსენების შესწავლის საკითხი 11 ნოემბერს განიხილა, უკვე დაზუსტებულია მსმენელთა სიები, დამტკიცებული არიან დამატებით ჩამოყალიბებული წრეების ხელმძღვანელები. წრეები ბელადის მოხსენების შესწავლას 16 ნოემბრიდან შეუდგებიან. ფაბრიკის აგიტატორებმა უკვე დაიწყეს ბელადის მოხსენების გარშემო საუბრების ჩატარება.

მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრეების უმრავლესობა 16 ნოემბრიდან შეუდგება ბელადის ისტორიული მოხსენებისა და ბრძანების შესწავლას.

პროპაგანდისტებისა და აგიტატორების სარაიონო კრება

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ბერიას რაიკომში 8 ნოემბერს ჩატარდა აგიტკოლექტივების ხელმძღვანელების, პროპაგანდისტების, აგიტატორებისა და პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების საინსტრუქციო კრება ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენების მშრომელთა ფართო მასებში ახსნა-განმარტების საკითხებზე.

აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებმა თავის მხრივ ჩაატარეს საუბრები აგიტატორებთან ამხანაგ სტალინის 6 ნოემბრის მოხსენებისა და 7 ნოემბრის ბრძანების გარშემო. აგიტატორებთან საუბრების დროს აღნიშნული იყო, რომ თითოეულმა აგიტატორმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ამხანაგ სტალინის მიერ დასახული ამოცანების ცხოვრებაში გატარებასა და შესრულებას.

რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ მთელ რიგ საწარმო-დაწესებულებებში ჩაატარა ახსნა-განმარტებითი საუბრები ამ საკითხზე და მისცა მითითებები, თუ როგორ უნდა მოეწყოს ამ ისტორიული დოკუმენტის საფუძვლიანი შესწავლა.

16 ნოემბრიდან ბერიას სახელობის რაიონის საწარმო-დაწესებულებებთან არსებულ მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელ წრეებში დაიწყება მეცადინეობა ამხანაგ სტალინის მოხსენებისა და ბრძანების შესასწავლად. გარდა ამისა, ჩამოყალიბებულია დამატებითი წრეები, უკვე შერჩეულია და რაიკომის ბიუროზე დამტკიცებულია პროპაგანდისტები თბილისის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში (პროპაგანდისტი — ამხ. ა. გიორგაძე), ფინანსთა სახალხო კომისარიატში (პროპაგანდისტი — ამხ. ბ. ჩხეიძე), განათლების სახალხო კომისარიატში (პროპაგანდისტი — ამხ. ბ. კიზირია), საჯარო ბიბლიოთეკაში (პროპაგანდისტი—დოც. ნ. მახარაძე).

მორიგი მეცადინეობა მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელ წრეებში

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის — ამხანაგ ი. ბ. სტალინის 1942 წლის 6 ნოემბრის მოხსენებისა და თავდაცვის სახალხო კომისრის ი. სტალინის 7 ნოემბრის № 345 ბრძანების საფუძვლიანად შესწავლისა და ფართო მასებში ახსნა-განმარტებისათვის საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომმა ჩაატარა საინსტრუქციო კრება.

კრებას ესწრებოდნენ რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, მომხსენებლები, პროპაგანდისტები და წამკითხველ-მესაუბრეები. მათ მიიღეს ინსტრუქტაჟი, თუ როგორ უნდა მოაწყონ მასებში საუბრები და მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელ წრეებში მორიგი მეცადინეობა დიდი სტალინის მოხსენებისა და ბრძანების შესასწავლად.

მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელ წრეებში კიროვის რაიონის მთელ რიგ საწარმოებში მორიგი მეცადინეობა ჩატარდება 20 ნოემბერს ქართულ, რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრეების ხელმძღვანელთათვის რაიკომში ჩატარდება 2 სემინარი. პირველი სემინარი ჩატარდება 18 ნოემბერს.

პარტორგანიზაციებთან არსებული აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთათვის 13 ნოემბერს კიროვის რაიკომში ჩატარდა სემინარი ამხანაგ სტალინის მოხსენებისა და ბრძანების გარშემო. სემინარი ჩაატარეს რაიკომის აგიტკოლექტივის ხელმძღვანელებმა ამხ. აბაიშვილმა და ბალასანოვმა.

ინგლისის ჯარებმა ელ-გაზალა დაიკავეს

ლონდონი, 14 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო კაიროდან გადმოგვცემს, რომ მოკავშირეთა ჯარებმა ელ-გაზალას მიაღწიეს. დაკავებული ტერიტორია გაწმენდილია მტრისაგან.

ინგლისელთა შეტევა ლიბიაში

ლონდონი, 14 ნოემბერი (საკდესი). ინგლისის ახლო აღმოსავლეთის შეიარაღებულ ძალთა სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ 14 ნოემბერს ინგლისის ჯარები განაგრძობდნენ მოწინააღმდეგის დევნას ტობრუკის დასავლეთით და მოწინააღმდეგისაგან გაწმინდეს მთელი ტერიტორია თვით ელ-გაზალამდე. 12 ნოემბერს დღისით და ღამით ინგლისის ბომბდამშენები და ავიაგამანადგურებლები განაგრძობდნენ მოწინააღმდეგის უკანდახეული კოლონების დევნას ელ-გაზალის დასავლეთით. ინგლისის ავიაციის ოპერაციების ზონა გაფართოვდა იმასთან დაკავშირებით, რომ ინგლისის საავიაციო ბაზები გადატანილია კირენაიკაში.

ლონდონის სამხედრო წრეების აზრით, მხოლოდ ელ-აგეილა წარმოადგენს უახლოეს პუნქტს, სადაც, ტობრუკის დაცემის შემდეგ, რომმელის არმიის ნაშთებს შეუძლიათ გამაგრდნენ.

ინგლის-ამერიკის ჯარები ტუნისში შევიდნენ

ჟენევა, 14 ნოემბერი (საკდესი). როგორც ვიშში ოფიციალურად იუწყებიან, გუშინ ინგლის-ამერიკის ჯარები ტუნისის ტერიტორიაზე შევიდნენ.

ნიუ-იორკი, 14 ნოემბერი (საკდესი). კომენტარს უკეთებს რა აფრიკის ამბებს, ამერიკის პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამჟამად სწყდება სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ბაზების, განსაკუთრებით ბიზერტისა და ტუნისის სწრაფი დაპყრობის საკითხი. „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნის" სამხედრო მიმომხილველი მაიორი ელიოტი აცხადებს, რომ ამერიკის ჯარები იმყოფებიან მხოლოდ 400 მილზე ბიზერტიდან, ამასთან მათს მარშრუტზე არის შესანიშნავი გზები, მათ შორის რკინიგზებიც. ალჟირის სამხრეთ-აღმოსავლეთით შეტევისას ამერიკელებმა შეიძლება მოახერხონ და გაიჭრან რომმელის ჯარებსა და ტუნისში მისულ გერმანელთა მაშველ ძალებს შორის მდებარე რაიონში. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ტუნისსა და ტრიპოლიტანიას შორის არსებული ფორტიფიკაციების ხელში ჩაგდებას.

ინგლისის ავიაციის თავდასხმა გენუაზე

ლონდონი, 14 ნოემბერი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 13 ნოემბერს ღამით ინგლისის ბომბდამშენი ავიაციის თვითმფრინავები თავს დაესხნენ გენუას. იერიში მეტად კონცენტრირებული იყო. ბევრგან გაჩნდა დიდი ხანძარი.

ჰიტლერელებს ეშინიათ საფრანგეთის ფლოტის გადასვლისა მოკავშირეთა მხარეზე

ჟენევა, 13 ნოემბერი (საკდესი). დღეს ვიშის რადიოსადგურმა გამოაქვეყნა ცნობა, რომ ლავალისა და ჰიტლერის განსაკუთრებული შეთანხმების მიხედვით ტულონი ოკუპირებული არ იქნება, არამედ გამოყოფილი იქნება „განსაკუთრებულ ზონად".

საქმეს გაცნობილ ჟურნალისტთა წრეებში ლავალისა და ჰიტლერის ახალ გარიგებასთან დაკავშირებით აღნიშნავენ, რომ ჰიტლერელებს ეშინიათ, ტულონის ნავსადგურის რეიდზე მდგომი საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტი მოკავშირეებთან არ წავიდეს. როგორც ცნობილია, ტულონის ნავსადგურში ამჟამად თავმოყრილია 62 სამხედრო გემი. ჰიტლერული გერმანია ყოველთვის ცდილობდა, რომ მის კონტროლქვეშ გადაეცათ სამხედრო-საზღვაო ფლოტი, მაგრამ ეშინოდა გემების პირადი შემადგენლობის ანტიგერმანული განწყობილებისა. როგორც აქ ფიქრობენ, ჰიტლერელებმა, რაკი ჯერ იმის შესაძლებლობა არა აქვთ, რომ ძალით ჩაიგდონ ხელში საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტი, გადასწყვიტეს ლავალთან დადებული გარიგებით და ტულონის ოკუპაციაზე „უარის თქმით" მოადუნონ ფლოტის სიფხიზლე და მოამზადონ მისი ხელში ჩაგდება.

ლონდონი, 13 ნოემბერი (საკდესი). როგორც გაზეთი „დეილი მეილი" გადმოგვცემს, გერმანელები ყოველ ზომას ხმარობენ, რათა თავიდან აიცილონ საფრანგეთის ფლოტის ცდა გავიდეს ტულონიდან.

საზღვაო ბრძოლა ალჟირთან

ჟენევა, 14 ნოემბერი (საკდესი). ვიშის რადიო იუწყება, რომ 14 ნოემბერს დილაადრიან ალჟირის რეიდთან დიდი საზღვაო ბრძოლა იყო.

გერმანელთა საპარაშუტო ჯარების მოქმედება ტუნისში

ლონდონი, 14 ნოემბერი (საკდესი). ჩრდილოეთ აფრიკაში მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბთან მყოფი რეიტერის სააგენტოს სპეციალური კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ ტუნისის ფრანგული გარნიზონები ეწევიან ბრძოლებს გერმანელების წინააღმდეგ. გერმანელმა პარაშუტისტებმა დაიკავეს ტუნისის ახლოს მდებარე აეროდრომი. გერმანელებმა ტუნისში თვითმფრინავებით მიიტანეს 12-ტონიანი ტანკები და ცდილობენ ზღვით მიიყვანონ მაშველი ძალები.

მდგომარეობა ჩრდილოეთ აფრიკაში

ლონდონი, 14 ნოემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, მოკავშირეთა ჯარების შტაბი იუწყება, რომ ბიზერტისა და ტუნისის ფრანგთა გარნიზონებს იერიში მიაქვთ გერმანიის ჯარების წინააღმდეგ. მოკავშირეები საჰაერო გზით უგზავნიან მაშველ ძალას ამ ორი ქალაქის ფრანგთა გარნიზონებს.

დაძაბული მდგომარეობა ესპანეთის მაროკოში

ლონდონი, 14 ნოემბერი (საკდესი). გაზეთი „დეილი ექსპრესი" იუწყება, რომ, ტანჟერიდან მიღებული ცნობებით, ესპანელთა პოლიცია იქ მასობრივად აპატიმრებს ყოფილ რესპუბლიკელებს.

ათასობით ესპანელი ჯარისკაცი გადაიყვანეს არბაუასკენ, რომელიც საფრანგეთისა და ესპანეთის მაროკოს საზღვარზე მდებარეობს. ესპანელებს აუკრძალეს დატოვონ ესპანეთის მაროკო შემდგომ განკარგულებამდე.

ესპანელი რესპუბლიკელი გენერლების მიმართვა რუზველტისადმი

ლონდონი, 14 ნოემბერი (საკდესი). როგორც ბრიტიშ იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ბუენოს-აირესიდან გადმოგვცემს, სამმა ესპანელმა რესპუბლიკელმა გენერალმა, მათ შორის ვისენტე როხომ, რუზველტს მიმართა თხოვნით—გაათავისუფლოს 300 ათასი ესპანელი ლტოლვილი, რომლებიც საფრანგეთის ჩრდილოეთ აფრიკის საკონცენტრაციო ბანაკებში იმყოფებიან.

პორტუგალიის პრეზიდენტის პასუხი რუზველტის მიმართვაზე

ვაშინგტონი, 12 ნოემბერი (საკდესი). თეთრმა სახლმა გამოაქვეყნა პორტუგალიის პრეზიდენტ კარმონას პასუხი რუზველტის მიმართვაზე. კარმონა მადლობას გამოსთქვამს რუზველტის მიმართვის მეგობრული ტონისა და დაპირებისათვის, რომ პორტუგალიას შეერთებული შტატებისა არ უნდა ეშინოდეს. „ეს,—ნათქვამია კარმონას პასუხში, — ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული მუდმივი და მტკიცე მეგობრობის ახალ დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს".

ვიშის მთავრობა ხელს უწყობს გერმანელთა და იტალიელთა შეჭრას საფრანგეთში

ჟენევა, 14 ნოემბერი (საკდესი). ვიშის მთავრობის ინფორმაციის ბიურომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ „იტალიელთა რაზმების შესვლამ მორიენსა და ტარანტეზში (საფრანგეთის არაოკუპირებული ზონა) მოსახლეობის ერთგვარი გაკვირვება გამოიწვია". ჰიტლერელთა ვიშელი მარიონეტები ასე მორცხვად უწოდებენ ფრანგი ხალხის გულისწყრომას საფრანგეთის არაოკუპირებულ ზონაში გერმანიისა და იტალიის ჯარების თავხედური შეჭრის გამო და ხალხის მღელვარებას, რაც ამ შეჭრამ გამოიწვია.

ვიშის მთავრობამ, რათა ერთგვარი დამშვიდება შეიტანოს ხალხის მასებში, გამოაქვეყნა ოფიციალური განცხადება, რომლითაც მოსახლეობას მოუწოდებს „ნუ მიიჩნევს არაოკუპირებული ზონის ტერიტორიაზე იტალიისა და გერმანიის ჯარების გავლასა და ყოფნას საფრანგეთის სუვერენიტეტის ხელყოფად". იმათ, ვისზეც ეს „საბუთი" არ იმოქმედებს, მთავრობა დამუქრებით მოაგონებს, რომ „მთავრობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრეროგატივაა შინაგანი წესრიგის დაცვა" და რომ „პოლიცია და ხელისუფლების ორგანოები მომავალშიც შეასრულებენ თავიანთ ამოცანებს". სხვა სიტყვით რომ ითქვას, ვიშის მთავრობა უაღრესი ცინიზმით აღიარებს, რომ მას თავის მთავარ ამოცანად მიაჩნია ოკუპანტების დაცვა აღშფოთებული ფრანგი მოსახლეობისაგან.

უცხოეთის ქრონიკა

კანადის კორვეტმა ჩაძირა ამერიკის შეერთებული შტატების წყლებში მოქმედი წყალქვეშა ნავი.

ჩუნცინს ჩავიდა ინგლისის პარლამენტის მისია.

ხალხთა მეგობრობის დიადი დროშით

ოცდახუთი წლის წინათ ლენინისა და სტალინის ხელისმოწერით გამოქვეყნდა უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტი—რუსეთის ხალხების უფლებათა დეკლარაცია, რომელშიც გენიალურად არის გამოთქმული ის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მონაპოვარი, რაც დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მიანიჭა რუსეთის განთავისუფლებულ ხალხებს.

საბჭოთა რევოლუციის გამარჯვებამ ჩვენს ქვეყანაში სამუდამოდ მოუღო ბოლო იმ სამარცხვინო მხეცურ პოლიტიკას, რომლითაც ცარიზმი, რეაქციული კლასები ერებს ერთმანეთს დასარბევად უსევდნენ, და როცა შოვინისტური გააფთრებით შეპყრობილი ადამიანები ერთმანეთს დაუნდობლად ხოცავდნენ. დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დასაწყისი მისცა რუსეთის ხალხთა ნებაყოფლობით გაერთიანებას, ხალხთა ძმურ ურთიერთნდობას და მეგობრობას.

იმპერიალიზმის ჩაგვრისაგან ერებისა და ხალხების განთავისუფლების, მათი თანასწორობის დიადი პრინციპები, შემუშავებული ლენინისა და სტალინის მიერ ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე, ბრწყინვალე გამოხატულებას პოულობს რუსეთის ხალხების უფლებათა დეკლარაციაში:

„1. რუსეთის ხალხების თანასწორობა და სუვერენობა,

2. რუსეთის ხალხების უფლება თავისუფალი თვითგამორკვევისა, თვით გამოყოფამდე და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნამდე.

3. ყველა და ყოველგვარ ნაციონალურ და ნაციონალურ-რელიგიურ პრივილეგიათა და შეზღუდვათა გაუქმება.

4. რუსეთის ტერიტორიაზე მოსახლე ნაციონალური უმცირესობებისა და ეთნოგრაფიული ჯგუფების თავისუფალი განვითარება".

რუსეთის ხალხების უფლებათა დეკლარაციამ მთელს მსოფლიოს ამცნო, რომ „მეფეებისა და ჯალათების რუსეთი" დაემხო. „დაიწყო რუსეთის შემადგენლობაში შემავალ ეროვნებათა ახალი ცხოვრება, ამ ხალხთა განთავისუფლების ხანა" (სტალინი). განთავისუფლებულმა საბჭოთა ხალხებმა, ლენინ-სტალინის პარტიის ბრძნული ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად გატარების შედეგად, მეოთხედი საუკუნის მანძილზე ისტორიული მნიშვნელობის წარმატებებს მიაღწიეს თავიანთი სამეურნეო და კულტურული აღორძინების საქმეში. საბჭოთა ქვეყნის სოციალისტურმა ინდუსტრიალიზაციამ და სოფლად საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ უზრუნველჰყო სსრ კავშირის ყველა ხალხთა დიადი მეგობრობის განმტკიცება და მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა.

ბოლშევიკური პარტია არ დაკმაყოფილდა რუსეთში წინათ ჩაგრული ერების პოლიტიკურ-იურიდიული გათანაბრებით და შეუდგა ხალხებს შორის ფაქტიური თანასწორობის დიადი ამოცანის თანმიმდევრულად განხორციელებას.

მრეწველობის კერების დანერგვით, მუშათა კლასის განვითარებით, დიდი რუსი ხალხის დახმარებით მრავალეროვანი სსრ კავშირის ყველა ხალხი მტკიცედ წარიმართა ეკონომიურად და კულტურულად მოწინავე ერებთან ფაქტიური გათანასწორების ძლევამოსილი გზით და ამაში „განსახიერდა ნაციონალურ რესპუბლიკათა ინდუსტრიალიზაციის და მოწინავე რესპუბლიკების დონემდე მათი აყვანის ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკა" (ლ. ბერია). ასე, მაგალითად, ჯერ კიდევ 1936 წლისათვის „მრეწველობის ხვედრითმა წონამ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საერთო სახალხო მეურნეობაში უკვე 72 პროცენტს მიაღწია". და წინათ აგრარული ქვეყნები ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნებად გადაიქცნენ.

ყველაფერი, რაც რუსეთის ხალხების უფლებათა დეკლარაციით იქნა აღიარებული საბჭოთა რევოლუციის პირველ დღეებში, ნამდვილად არის განხორციელებული სსრ კავშირში.

1920 წლის 13 ნოემბერს დიდი სტალინი აღნიშნავდა: „საბჭოთა რუსეთი ის ჩირაღდანია, რომელიც უნათებს მთელი მსოფლიოს ხალხებს მჩაგვრელთა უღლისაგან მათი განთავისუფლების გზას". რუსეთის ხალხების უფლებათა დეკლარაციის პრინციპები განხორციელებულია და ფიქსირებულია დიად სტალინურ კონსტიტუციაში, რომლის 123 მუხლშიც აღნიშნულია: „სსრ კავშირის მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა, დამოუკიდებლად მათი ეროვნებისა და რასისა, სამეურნეო, სახელმწიფო, კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში ურყევ კანონს წარმოადგენს".

საბჭოთა რევოლუციის გამარჯვებათა ტრიუმფი—სტალინური კონსტიტუცია, მისი 123 მუხლი, რომელშიც ასახულია ლენინ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის არსი, უძლიერეს მოწოდებად გაისმის მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა შორის.

ახლა გერმანიის ავაზაკური იმპერიალიზმი, ჰიტლერული მტაცებლები სისხლიანი დაპყრობითი ომებით ცდილობენ გაბატონდნენ მსოფლიოში და განახორციელონ თავიანთი კაცთმოძულე პროგრამა, რომელშიც როგორც ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, სწერია: „რასიული სიძულვილი; „რჩეული" ერების ბატონობა; სხვა ერების დაპყრობა და მათი ტერიტორიების ხელში ჩაგდება; დამორჩილებული ერების ეკონომიური დამონება და მათი ეროვნული დოვლათის დატაცება; დემოკრატიულ თავისუფლებათა მოსპობა; ყველგან ჰიტლერული რეჟიმის დამყარება".

ასეთია ფაშისტ არამზადათა პროგრამა, რომელიც პრაქტიკაში აურაცხელი მხეცური ბოროტმოქმედებითა და საზიზღარი ჯალათობით გვევლინება. ჰიტლერელთა მიერ ჩადენილი უდიდესი დანაშაულებანი დაპყრობილი ერების მიმართ მთელი პროგრესიული კაცობრიობის უსაზღვრო სიძულვილსა და რისხვას იწვევს მათდამი. „გერმანელთა რასობრივ თეორიას და რასობრივი სიძულვილის პრაქტიკას ის შედეგი მოჰყვა, რომ ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხი ფაშისტური გერმანიის მტერი გახდა" (ი. სტალინი). ფაშისტების მიერ დაპყრობილი ქვეყნების ხალხები იბრძვიან და ემზადებიან იმისათვის, რომ სასტიკად იძიონ შური თავიანთ დამმონებლებზე, ბოლო მოუღონ მათს ბატონობას.

ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის კოალიციის სამოქმედო პროგრამა, პირველ ყოვლისა, ჰიტლერული რეჟიმის ძირფესვიანად მოსპობას მოითხოვს, იგი მოითხოვს რასობრივი განკერძოებულობის მოსპობას, ერების თანასწორუფლებიანობას და მათი ტერიტორიების ხელუხლებლობას, დამონებული ერების განთავისუფლებას და მათი სუვერენული უფლებების აღდგენას და სხვ.

ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოქმედების პროგრამას ის შედეგი მოჰყვა, რომ ყველა ოკუპირებული ქვეყნის ხალხები გამსჭვალულნი არიან ამ კოალიციისადმი თანაგრძნობით და ყველა შესაძლებელ დახმარებას უწევენ მას.

ასეთია თავისუფლებისმოყვარე ხალხთა მოქმედების დიადი პროგრამა, დროშა, რომლის გარშემოც უფრო და უფრო გიგანტურ ძალად ირაზმება დემოკრატიული კაცობრიობა იტალია-გერმანიის ფაშისტური კოალიციის შესამუსრავად.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვების ნიადაგზე აღმოცენდა და უძლეველ ძალად განვითარდა ხალხთა სტალინური მეგობრობა, საბჭოთა პატრიოტიზმი. საბჭოთა ხალხი, წითელი არმია ათეული წლების მანძილზე აღიზარდნენ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით რასობრივი თანასწორობისა და სხვა ერებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით. აი რატომ შეჰყურებს მათ მთელი მსოფლიო, როგორც ისეთ ძალას, რომელსაც შეუძლია და კიდეც უნდა მოსპოს ჰიტლერელ დამპყრობთა მძარცველური ურდოები. აი რატომ უყურებენ ყველა ოკუპირებული ქვეყნის ხალხები წითელ არმიას, როგორც თავიანთ განმათავისუფლებელს ფაშისტ დამპყრობთა მონობისაგან.

ქვენა ზრახვებითა და მხეცური ინსტინქტებით გამსჭვალული ჰიტლერელი არამზადები ყოველგვარ სისაძაგლეს სჩადიან იმისათვის, რომ შეარყიონ საბჭოთა ხალხის მეგობრობის სიმტკიცე, ისინი ცდილობდნენ ერთმანეთისათვის გადაეკიდებინათ საბჭოთა ხალხები, განხეთქილება შეეტანათ მათს ძმურ ოჯახში და ამით დაესუსტებინათ საბჭოთა სახელმწიფო. მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს.

რუსეთის გმირმა ხალხებმა მეოთხედი საუკუნის წინათ დაამხეს ცარიზმის რეაქციული რეჟიმი, რომლისგანაც ჰიტლერული რეჟიმი არსებითად არაფრით განსხვავდება. გამხეცებულ მტარვალებს სურთ ამ ჯოჯოხეთური რეჟიმის რესტავრაცია და გერმანელი ბარონების გაბატონება საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხებზე. მაგრამ ეს არ მოხდება.

სამამულო ომმა, რომელიც მიზნად ისახავს ხალხთა განთავისუფლების დიად ამოცანას, კიდევ უფრო განამტკიცა ჩვენი ქვეყნის ხალხთა სტალინური მეგობრობა, განამტკიცა საბჭოთა ზურგი. „საბჭოთა წყობილება ახლა ყველაზე უფრო მტკიცე წყობილებაა" (სტალინი).

ჩვენი სამართლიანი საქმისათვის სამამულო ომის ფრონტებზე ერთნაირი თავდადებით იბრძვიან საბჭოთა სამშობლოს ყველა ხალხის შვილები. საბჭოთა პატრიოტები გმირულად იბრძვიან ყველგან, სადაც კი ამას სამშობლო მოითხოვს. დიდი რუსი ხალხის შვილები ფაშისტთა შემოსევისაგან იცავდნენ უკრაინას, ბელორუსიას, ბალტიისპირა ქვეყნებს, იცავენ კავკასიის მისადგომებს. უკრაინელი და ბელორუსი, ქართველი და სომეხი, აზერბაიჯანელი და უზბეკი ხალხების შვილები მედგრად ომობენ ლენინგრადისა და სტალინგრადისათვის, ისევე როგორც კავკასიისათვის. და ყველგან თავიანთ საყვარელ საბჭოთა სამშობლოს იცავენ...

უმნიშვნელოვანესი ისტორიული დოკუმენტი—რუსეთის ხალხების უფლებათა დეკლარაცია, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოთა რევოლუციის გენიოსები—ლენინი და სტალინი, ჩვენი ქვეყნის ხალხებს, ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხებს მოუწოდებს დაიცვან დიადი დეკლარაციით აღიარებული პრინციპები და გააძლიერონ ბრძოლა ჰიტლერელი იმპერიალისტების შესამუსრავად, ხალხთა მშვიდობიანი და ბედნიერი ცხოვრების მოსაპოვებლად.

ლ. ებანოიძე

თანამოქმედება ბრძოლაში

მოქმედი არმია, 14 ნოემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები გრძელდება. ვაკე, სადაც თითქმის სრულებით არ მოიპოვება ბუნებრივი საფრები, მეტად ურთულებს ვითარებას ჩვენს ჯარებს, რომლებიც აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ეწევიან. ამ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვეითი ჯარისა და მისი დამხმარე ცეცხლითი საშუალებების თანამოქმედებას.

ქვეგანაყოფს, რომელსაც ლეიტენანტი გრაბკოვსკი მეთაურობს, უნდა ჩაეხშო მაღლობზე ჯგუფურად განლაგებული მტრის რამდენიმე საცეცხლე წერტის წინააღმდეგობა. მეთაურმა ნაღმსატყორცნები წინ წასწია მაღლობიდან ნახევარი კილომეტრის დისტანციაზე. ცეცხლითი ფარდის საფარქვეშ იწყო თავმოყრა დასარტყმელად საბჭოთა ქვეითმა ჯარმა. იგი [illegible] ნახტომებით მიიწევდა ზღუდიდან ზღუდისაკენ. [illegible] დარტყმა თავიდან რომ აეცილებინათ, გერმანელებმა უკანდახევა იწყეს. ჩვენმა მსხვილკალიბრიანმა ნაღმსატყორცნებმა ნაღმები დააყარეს გერმანელებს.

ჰიტლერელთა უკანდახევამ გაქცევის ხასიათი მიიღო. გერმანელთა საცეცხლე წერტები მთლად უპატრონოდ დარჩნენ და ისინი საბჭოთა ქვეითმა ჯარმა დაიკავა, ხოლო მტრის გადარჩენილი იარაღი მის წინააღმდეგვე იქნა მიმართული. გერმანელებმა დაუყოვნებლივ იწყეს ძალების მოყვანა კონტრიერიშისათვის. რამდენიმე ათეულ მანქანას რეზერვები მოჰყავდა. მაგრამ მტრის მოქმედებას დაასწრეს. საბჭოთა ქვეითმა ჯარმა ტანკების საფარქვეშ წინ წაიწია და უეცარი დარტყმით დასაწყისშივე ჩაშალა გერმანელთა კონტრიერიში.

გ. მაქსიმოვი

„ლიტერატურისმცოდნეობის საფუძვლები"

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა სიმონ გაჩეჩილაძის შრომა „ლიტერატურისმცოდნეობის საფუძვლები".

წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სკოლის მოსწავლეთათვის. ავტორს განხილული აქვს შემდეგი საკითხები: ლიტერატურისმცოდნეობა, როგორც მეცნიერული დისციპლინა და მისი მთავარი ნაწილები (ლიტერატურის თეორია, ლიტერატურის ისტორია, კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობის დამხმარე დისციპლინები). პოეტიკის განვითარების მოკლე მიმოხილვა. ლიტერატურისმცოდნეობის ზოგადი საკითხები: ლიტერატურა და ხელოვნება; მარქსიზმის კლასიკოსები ლიტერატურის შესახებ; ლენინის ასახვის თეორია და მხატვრული ლიტერატურა; ლიტერატურული ნაწარმოების განხილვისა და შეფასების კრიტერიუმი; ლიტერატურის ხალხურობის, კლასობრიობისა და პარტიულობის პრობლემა; ფორმისა და შინაარსის პრობლემა; ლიტერატურული ნაწარმოების კომპოზიცია; სახის პრობლემა; პოეტური ენა; ლექსი: ლექსთწყობის მთავარი სახეები, სქემები და ზომები; რითმები, სტროფიკა; პოეტური ფონეტიკა; მახვილის საკითხი ქართულ ენაში და ქართული ლექსის პრობლემა; ლიტერატურის განვითარების პროცესი; ლიტერატურული სტილი; მეთოდი და მიმართულებანი; სატირა; პოეზიის გვარები, სახეები და ჟანრები. ამ ნაწილში პოეზიის გვარების, სახეებისა და ცალკეული ჟანრების თეორიულ განსაზღვრასთან ერთად ავტორი გვაცნობს მათი წარმოშობა-განვითარების ისტორიას და განმარტავს მათ მნიშვნელობას უახლესი ლიტერატურის განვითარების თვალსაზრისით.

სადავო პრობლემათა გადასაწყვეტად ავტორი აცნობს მკითხველებს სხვადასხვა მეცნიერთა თეორიებს და ამასთან ერთად გამოსთქვამს პირად შეხედულებას ზემოაღნიშნულის გადასაწყვეტად.

წიგნს დართული აქვს საგნობრივი საძიებელი. წიგნი ღირს 20 მანეთი.

გასამხედროებული სპარტაკიადა

22 ნოემბერს თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი და თბილისის სამხედრო კომისარიატი ატარებენ საყოველთაო-სამხედრო სწავლების რაზმების გასამხედროებულ სპარტაკიადას.

სპარტაკიადის მიზანია რაზმების მებრძოლთა და მეთაურების სამხედრო და ფიზკულტურული მომზადების შემოწმება, სასწავლო-საწრთვნელი მუშაობის ხარისხის ამაღლება, საომარი მოქმედების პირობების შესაფერისი ჩვევების დანერგვა და ძლიერი რაზმების გამოვლინება.

სპარტაკიადის პროგრამაშია: სწრაფი ლაშქრობა 25 კილომეტრზე, თვითშემოსანგრვა, მცირეყალიბიანი შაშხანის სროლა და იერიშით დაბრკოლებათა ზოლის დაძლევა. სპარტაკიადაში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის რაიონის ყველა სამხედრო კომისარიატის საყოველთაო-სამხედრო სწავლების რაზმები, კონკურსს გარეშე კი—„დინამოსა" და თბილისის სახალხო განათლების განყოფილების რაზმები, თითოეული ორგანიზაციიდან გამოყვანილი იქნება ნახევარი ასეული—51 კაცის შემადგენლობით.

სპარტაკიადაში გამარჯვებული რაზმი დაჯილდოებული იქნება საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

ლექციები და მოხსენებები

15 ნოემბერს, დღის 3 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტში (ლენინის ქ., № 41) შესდგება ამხ. **სულეიმანის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„სამამულო ომის მიმდინარე მომენტი და ჩვენი ამოცანები".**

ბილეთების შეძენა შეიძლება საქალაქო აგიტპუნქტის ბიბლიოთეკაში დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე.

16 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, საჯარო ბიბლიოთეკაში (კეცხოველის ქ. № 5) შესდგება ამხ. **რუბეინის** ლექცია. თემა: **„სამამულო ომის მიმდინარე მომენტი და საერთაშორისო მდგომარეობა".**

შესვლა თავისუფალია.

ჯგუფური კონსულტაცია

16 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტში (ლენინის ქ., № 41) შესდგება ამხ. **გველესიანის** ჯგუფური კონსულტაცია ქართულ ენაზე. თემა: **„როგორ შევამციროთ გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება".**

საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში

საქ. სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის სამხედრო კაბინეტში (კეცხოველის ქ. № 5) ტარდება კონსულტაცია სამხედრო დისციპლინის შესახებ: **კვირაობით** დღის 2 საათიდან 4 საათამდე—კონსულტანტი ამხ. **ჭელიძე; ხუთშაბათობით** ღამის 7 საათიდან 9 საათამდე—კონსულტანტი ამხ. **ლივანოვი.**

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1537161, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის მიერ ალექსანდრე ესტატეს-ძე **ნოზაძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

სამეცნიერო სესია ბავშვთა აღზრდის საკითხებზე

18, 19 და 20 ნოემბერს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სათამაშოებისა და დიდაქტიკური მასალების ლაბორატორია იწვევს პირველ სამეცნიერო სესიას, რომელზეც მოსმენილი იქნება 12 სამეცნიერო მოხსენება. ეს მოხსენებები ეხება იმ დიდაქტიკური მასალების მეცნიერული გამოკვლევის შედეგებს და მეთოდიკურ საკითხებს, რომელთაც საბავშვო ბაღები უკვე პრაქტიკულად იყენებენ.

სესია გაიხსნება 18 ნოემბერს, 5 საათზე პირველი საბავშვო ბაღის შენობაში (ათარბეგოვის ქ. № 42). იქვე გამოფენილი იქნება ლაბორატორიის მიერ გამოშვებული სათამაშოებისა და დიდაქტიკური მასალების ნიმუშები.

თეატრებში

17 ნოემბერს: სახოპერა—„რიგოლეტო". **რუსთაველის სახელობის** — „ოლეკო დუნდიჩ". **მარჯანიშვილის სახელობის** — „ინჟინერი სერგეევი". **გრიბოედოვის სახელობის**—„ფელდმარშალი კუტუზოვი". **სომხური თეატრი** — „გეორგ მარზპეტუნი". **ახუნდოვის სახელობის**—„ფახრაგ და შირინი". **მუსიკალური კომედიის**—„ნატვრის თვალი". **ხანკულტურის** — „პირისპირ". **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი**—„ბროლის სასახლე". **მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი** — „გაქცევა".

კინოებში

რუსთაველის სახ. — „ჭაბუკი ჩვენი ქალაქიდან", **ოქტომბერი** — „საბრძოლო კინოკრებული № 12". **დამკვრელი**—„ახალი ცხოვრებისაკენ". **კომკავშირელი** — „რუსლან და ლიუდმილა". **სპარტაკი** — „კორზინკინას თავგადასავალი". **ლუქსემბურგის სახ.**—„ვოლგა-ვოლგა". **26 კომ. სახ.**—„აიგიულ". **კომინტერნი**—„საბრძოლო კინოკრებული № 11".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

სახლთმმართველების და კერძო სახლთმფლობელების საყურადღებოდ

ქალაქის სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადების გადამხდელთა და დასაბეგრი ობიექტების სავალდებულო აღრიცხვის გატარების წესის შესახებ სსრკ ფინსახკომის ინსტრუქციის № 467 შესაბამისად, **თბილისის ქალაქის აღმასკომის საფინანსო განყოფილება აცხადებს,** რომ სახლთმმართველები და სახლთმფლობელები ვალდებულნი არიან 1942 წლის 15 ნოემბრიდან 10 დეკემბრამდე სათანადო რაიონის საფინანსო განყოფილებებს წარუდგინონ ცნობები საღრიცხვო ბარათ ფორმა № 26-ის მიხედვით.

საფინანსო ორგანოებისადმი ზემოაღნიშნული ცნობების დაწესებულ ვადაზე წარმოუდგენლობისათვის ის პირნი, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ამ ცნობების წარმოდგენაზე, დაჯარიმდებიან 100 მანეთამდე.

განზრახ არასწორი ცნობების წარმოდგენა გამოიწვევს დამნაშავის სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მიცემას.

მოქალაქენი, რომელთაც აქვთ შემოსავლის დამოუკიდებელი წყაროები (გარდა მუშებისა და მოსამსახურეების მიერ მიღებულ ხელფასისა და პენსიისა), ვალდებულნი არიან წარუდგინონ რაიფინგანებს დეკლარაციები არა უგვიანეს 1943 წლის 15/I-სა მათ მიერ 1942 წელს მიღებული შემოსავლის შესახებ.

დაწესებულ ვადაზე დეკლარაციის წარმოუდგენლობის, ან დეკლარაციებში არასწორი ცნობების შეტანის შემთხვევაში დამნაშავე პირი დაჯარიმდება 200 მანეთამდე. დეკლარაციაში განზრახ არასწორი ცნობების შეტანა გამოიწვევს დამნაშავის სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მიცემას.

საღრიცხვო ბარათების და დეკლარაციების ბლანკების გაცემა სწარმოებს სათანადო რაიონის საფინანსო განყოფილებაში.

298

ქალაქის ფინგანი

თბილისის წყალსადენის ტრესტის სამმართველოს აბონენტთა საყურადღებოდ

ზამთრის პერიოდის მოახლოებასთან დაკავშირებით თბილისის წყალსადენის სამმართველო აფრთხილებს აბონენტებს სრულ წესრიგში მოიყვანონ წყალსაზომების ჭები და „ამბრაზურები", მოახდინონ მათი შეთბუნვა წყალსაზომების და გაშიშვლებული მილსადენების ყინვებით დაზიანებისაგან დაცვის მიზნით.

აღნიშნული ღონისძიების გატარებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ სახლთმმართველობებს და საწარმოთა ხელმძღვანელებს.

301

თბილისის წყალსადენის ტრესტი

რუსთაველის თეატრის კოლექტივი იუწყება ამავე თეატრის მთავარი ადმინისტრატორის სერგო ადამიას დედის

ბარბარე ადამიას

გარდაცვალებას. გამოსვენება 16/XI, 4 ს. ჟორესის ქ. № 21, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1466

სამტრესტის ღვინის მეორე ქარხნის მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან ამავე ქარხნის თანამშრომლის სიმონ ზარაფიშვილის მამის

ნიკოლოზ ზარაფიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 15/XI, სოფ. მაჩხაანში. 1456

თბილისის საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების ტექნიკური აღრიცხვის ბიურო იუწყება ინჟინერ ზაქარია ოდიშვილის დედის

ეფემია ისაკის-ასულ ჩოდრიშვილი-ოდიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება 15/XI, 3 ს. გოგებაშვილის ქ. № 46. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. 1455

არტელ „თბილისის სამკერვალოს" კოლექტივი იუწყება

აკაკი გრიგოლის-ძე ბრეგვაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 17/XI, 5 ს. კლარა ცეტკინას ქ. № 73. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1464

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.
უე 11044